ვენეციის კომისიის მორიგი დასკვნა სასამართლოზე: დადებითი ცვლილებები და სისტემური გამოწვევები

2023 წლის 9 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ მნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვეყნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ და შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის დასკვნის ცხადი მითითებით, საქართველოს არ განუხორციელებია იმ დონის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნდამენტურ რეფორმად დაკვალიფიცირდებოდა. კომისიის შეფასებით, განხორციელებული დადებითი ცვლილებები არის ფრაგმენტული და იგი არ მიემართება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის, უფლებამოსილებების განაწილების ანდა გადაწყვეტილების მიღების წესს. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა სრულად თანხვედრაშია მართლმსაჯულების კოალიციის შეფასებასთან, რომლის მიხედვითაც, განხორციელებული ცვლილებები ფრაგმენტულია და არ პასუხობს მართლმსაჯულების სისტემის რეალურ გამოწვევებს.

პრობლემის სიმწვავის ნათლად წარმოსაჩენად ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული მდგომარეობა შეიძლება აკმაყოფილებდეს ე.წ. ვეთინგის (საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა) კრიტერიუმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისია დადებითად აფასებს საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას რამდენიმე მიმართულებით. ამის სანიმუშო მაგალითია სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის განხორციელებული ცვლილება და ახალ წესში დარჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად წარდგენილი კანონის პროექტი. მიუხედავად ამისა, კომისიის დასკვნით, საკანონმდებლო ცვლილებები ვერ პასუხობს მართლმსაჯულების სისტემურ გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად, საქართველომ სასამართლოს, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა უნდა განახორციელოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ვენეციის კომისიის მიერ იდენტიფიცირებული სისტემური გამოწვევების უგულებელყოფა და სათანადო შემხვედრი ნაბიჯის გადაუდგმელობა, ავტომატურად ნიშნავს EU-ს მიერ გაცემული ერთ-ერთი ფუნდამენტური რეკომენდაციის შეუსრულებლად დატოვებას.

ამ თვალსაზრისით გვსურს ყურადღება გავამახვილოთ, მართლმსაჯულების კოალიციის მიერ გამოქვეყნებულ ხედვასა და სამ საფეხურიანი რეფორმის განხორციელების საჭიროებაზე, ხოლო მის სრულ განხორციელებამდე გარდამავალი ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ხედვის დანერგვაზე მუშაობის დაწყება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვების

შანსებს, ვინაიდან ეს იქნება ძლიერი გზავნილი მართლმსაჯულების სისტემურ გამოწვევებზე მუშაობის რეალური დაწყების შესახებ.

ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ და შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით

შინაარსი

1. ვენეციის კომისიის დასკვნის კონტექსტი და ვენეციის კომისიის წინა დასკვნა 3
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ე.წ. “ვეთინგის” (უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის) შესაძლებლობა 5
3. საქართველოს არ ჩაუტარებია სრულფასოვანი რეფორმა კორპორატივიზმის აღმოსაფხვრელად 6
4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის პროცესი იყო ხარვეზიანი 6
5. საბჭოს წევრთა ხელახალი არჩევის აკრძალვა 7
6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი: ორმაგი ⅔ 7
7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა 8
8. მოსამართლეთა გადაყვანა, უფლებამოსილების შეჩერება და დისციპლინური პასუხისმგებლობა 8
9. უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა 10
10. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კვალიფიკაცია 11
11. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების დასახელება 11
12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა აცილება 12
13. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა 12
14. მოსამართლეობის კანდიდატების ხელახალი კენჭისყრა 13
15. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება 13
16. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა 14
დასკვნა 14

1. ვენეციის კომისიის დასკვნის კონტექსტი და ვენეციის კომისიის წინა დასკვნა

2022 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მიმართა ვენეციის კომისიას და 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების შეფასება მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად, საქართველომ სასამართლო სისტემის რეფორმა უნდა განახორციელოს ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად და ამ თვალსაზრისით, ვენეციის კომისიის განსახილველ შეფასებას საქართველოსთვის განსაკუთრებული წონა გააჩნია.[1]

2023 წლის 9 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება.[2] კომისიამ აღნიშნული დასკვნა მოამზადა 2023 წლის 14 მარტის დასკვნით[3] გაცემული რეკომენდაციების გათვალიწინებით.

2023 წლის 14 მარტს გამოქვეყნებული შეფასებით ვენეციის კომისიამ შეფასა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელ ცვლილებათა პაკეტი და გასცა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:[4]

(1) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრულფასოვანი რეფორმა სასამართლო სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების (კორპორატივიზმის) საპასუხოდ;

(2) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო ძალაუფლების შეზღუდვა მოსამართლეთა თანხმობის გარეშე მათი მივლინების/გადაყვანის შესახებ. მოსამართლეთა მივლინებისთვის უნდა დადგინდეს მკაფიო კრიტერიუმები, დაწესდეს შეზღუდვები თუ როდის და სად შეიძლება მოსამართლეთა გადაყვანა;

(3) მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილების პროცესის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მკაფიოდ დადგინდეს მოსამართლის ჩამოცილების საფუძვლები,

---

[1] ევროკავშირის მესამე რეკომენდაცია საქართველომ უნდა "მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. **ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით;** "

[2] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

[3] ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

[4] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 7

გახანგრძლივდეს მოსამართლეთათვის ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და მოსამართლეებს უნდა შეუნარჩუნდეთ ხელფასი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში;

(4) მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესება საკუთარი აზრის გამოხატვისთვის მკაფიოდ უნდა დარეგულირდეს, კერძოდ, უნდა ლიმიტირდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აშკარა დარღვევით და მოსამართლეებს უნდა დარჩეთ კომენტირების სივრცე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლო სისტემის რეფორმები;

(5) უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება სავალდებულოდ შესასრულებელი უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.

ამ ძირითადი რეკომენდაციების საპასუხოდ მმართველმა პარტიამ ჯერ 2023 წლის ივნისში შეიტანა კანონში ცვლილებები, ხოლო შემდგომ 2023 წლის სექტემბერში შეიმუშავა დამატებითი ცვლილებების პაკეტი. ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა აფასებს ორივე კანონპროექტს და იმას, თუ რამდენად პასუხობს ეს ცვლილებები კომისიის ძირითად რეკომენდაციებს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ე.წ. "ვეთინგის" (უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის) შესაძლებლობა

პირველად საქართველოს ისტორიის განმავლობაში ვენეციის კომისიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ე.წ. ვეთინგის (უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის) შესაძლებლობაზე ისაუბრა. კომისია აღნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კეთილსინდისიერების მიმართ არსებული კითხვები და არაფორმალური გზებით სასამართლო სისტემაზე გავლენის მოხდენის, ე.წ "კლანური მმართველობის" ნიშნები ქმნიდა ე.წ. ვეთინგის შესახებ დისკუსიის წინაპირობებს.

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ არსებული კონტექსტისა და სასამართლო სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, "შესაბამისი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას გონივრულად ეფიქრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ვეთინგის შესაძლებლობაზე".[5] სხვაგვარად, ვენეციის კომისიამ არათუ მხოლოდ დაუშვა, არამედ გონივრულადაც კი მიიჩნია ვეთინგის შესაძლებლობაზე მსჯელობა. იმის გათვალისწინებით, რომ ვეთინგი, თავისი შინაარსით არის სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გამყარება/რეაბილიტაციის უკიდურესი ზომა, ვენეციის კომისია, ისტორიულად, ძალიან ფრთხილად ეკიდება აღნიშნულ საკითხს. საქართველოსთან მიმართებით ვეთინგის

[5] იქვე, პარ. 11.

შესაძლებლობაზე საუბარიც კი, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ კომისია მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ სისტემურ გამოწვევებს ძალიან სერიოზულად უყურებს, ხოლო მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები ვერ პასუხობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს "სრულფასოვანი რეფორმის" მოთხოვნებს.

3. საქართველოს არ ჩაუტარებია სრულფასოვანი რეფორმა კორპორატივიზმის აღმოსაფხვრელად

ვენეციის კომისიის 2023 წლის მარტის დასკვნით განსაზღვრული ხუთი ძირითადი რეკომენდაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც კომისია აღნიშნავს, არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრულფასოვანი რეფორმა, როგორც ამას ითხოვს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული მე-3 პრიორიტეტული ამოცანა.

კომისიის დასკვნით, საქართველოს არ განუხორციელებია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს "სრულფასოვანი რეფორმა", რომელიც მოითხოვს საბჭოს ინსტიტუციური საფუძვლებისა და ფუნქციების საფუძვლიან გადახედვას, რაც კანონში მხოლოდ ტექნიკური ცვლილებების შეტანით ვერ განხორციელდებოდა. კომისიის ხედვით, "სრულფასოვანი რეფორმა" გულისხმობს საბჭოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გამყარების, მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გასაძლიერებლად მიმართულ არსებით ცვლილებებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს არსებული კონტექსტის სრულ გააზრებას და ყველა დაინტერესებული მხარის (stakeholders) სრულფასოვან ინკლუზიურ ჩართულობას.[6]

კომისიის დასკვნით, საქართველოს არ გაუწევია ადეკვატური ზომები სასამართლო სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების (ე.წ კორპორატივიზმის) აღმოსაფხვრელად. ამ თვალსაზრისით საქართველოს არ გადაუდგამს სისტემური ნაბიჯები. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გაუმჯობესებები განხორციელდა 2023 წლის ივნისისა და 2023 წლის სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, კომისიის აზრით, ისინი სათანადოდ ვერ პასუხობს კორპორატივიზმის სისტემურ პრობლემას და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, "გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე" ("without unjustified delay") განახორციელოს მართლმსაჯულების საფუძვლიანი რეფორმა.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის პროცესი იყო ხარვეზიანი

2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნაში მითითებულია, რომ კომისია გამოხატავდა წუხილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. 2023 წლის მაისში, თითქმის ორწლიანი ლოდინის შემდეგ, პარლამენტმა აირჩია 3 წევრი და ვაკანტური ადგილები შეავსო. კომისია დასკვნაში განმარტავს, რომ

[6] იქვე, პარ. 12.

მიესალმება საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას იმდენად, რამდენადაც ის უზრუნველყოფს საბჭოს შემადგენლობაში საჭირო პლურალიზმის შეტანას. პლურალიზმის თაობაზე კომისია 14 მარტის დასკვნაში განმარტავს, რომ ეს გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლის შეტანას - საბჭოს დაკომპლექტებასთან ერთად აუცილებელია წევრების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა.[7]

9 ოქტომბრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ როგორც ჩანს, ბოლო სამი წევრის არჩევა პოლარიზებულ პოლიტიკურ კონტექსტში მოხდა, სადაც საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა. საბჭოს პლურალიზმი კი ეჭვის ქვეშ დადგა მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან არჩეული სამი წევრის შესაძლო კავშირის შესახებ წაყენებული პრეტენზიებით. ამასთან, ერთი ახლადარჩეული წევრის წარდგენის კანონიერება კითხვებს აჩენს იმ საფუძვლით, რომ შესაბამის ორგანიზაციას კანონით არ ჰქონდა უფლება წარედგინა კანდიდატი.

5. საბჭოს წევრთა ხელახალი არჩევის აკრძალვა

კომისია მითითებას აკეთებს მარტში გაცემულ რეკომენდაციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების განმეორებითი არჩევის აკრძალვის თაობაზე. კომისიის შეხედულებით, საბჭოს შემადგელობის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და პოლემიკის გათვალისწინებით, უმჯობესია, თუ წევრის არჩევა მოხდება ფიქსირებული (fixed non-renewable) დროით. ასეთ კონტექსტში წევრის ხელახალი არჩევა დასაშვებია მხოლოდ სათანადო დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში.[8] ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ ეს რეკომენდაცია არ ასახულა 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებში და მას ასევე არ ითვალისწინებს 2023 წლის სექტემბრის კანონპროექტი.[9]

6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი: ორმაგი ⅔

კომისიამ რეკომენდაცია გაუწია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გადახედვას, რათა უზრუნველყოფილიყო შესაბამისი ბალანსი მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ორ ჯგუფს შორის. ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არამოსამართლე წევრების არსებობა, არამედ წევრების ეფექტური მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში.[10] ეს საკითხიც არ იქნა გათვალისწინებული 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით.

---

[7] ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის დასკვნა, პარ. 19.
[8] იქვე, პარ. 23.
[9] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა, პარ. 23.
[10] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა, პარ. 17.

კომისიის შეხედულებით, მართალია, სექტემბრის ცვლილებათა პაკეტით, საბჭოს სრული შემადგენლობის ⅔-ის მხარდაჭერა იქნება საჭირო მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის, თუმცა ეს ვერ უზრუნველყოფს არამოსამართლე წევრების სათანადო ჩართულობას.[11] ვინაიდან საბჭოს სრული შემადგელობის 10 ხმა იქნება საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად, 9 მოსამართლე წევრთან ერთად მხოლოდ 1 არამოსამართლე წევრის მხარდაჭერა იქნება საკმარისი, რაც დანარჩენი 4 არამოსამართლე წევრის ეფექტურ მონაწილეობას ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს. პრობლემის გადაჭრის გზად კომისიას ესახება გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ 3 არამოსამართლე წევრის მხარდაჭერის საჭიროება. საბჭოში ძალაუფლების დეკონცენტრაციის მიზნით, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ე. წ. ორმაგი ⅔-ის პრინციპის შემოღებას სამოქალაქო სექტორი წლებია ითხოვს.[12]

7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა

2023 წლის მარტში, კომისიამ გასცა რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის წესის გადახედვის თაობაზე.[13] თუმცა ეს საკითხი არც 2023 წლის ივნისის ცვლილებებით და არც ამავე წლის სექტემბრის კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, კომისიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა ეს რეკომენდაცია. კომისიის დასკვნის თანახმად, არჩევანი თუ როგორ მოხდება ამ რეკომენდაციის იმპლემენტაცია დამოკიდებულია ინკლუზიური ეროვნული საკონსულტაციო პროცესის ორგანიზებაზე. ამ ჭრილში, ვენეციის კომისია შედარებითი თვალსაზრისით მითითებას აკეთებს დროებითი ეროვნული/საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოების გამოყენების შესაძლებლობაზე სასამართლო სისტემის სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატების კეთილსინდისიერების შეფასების მიზნით.[14]

8. მოსამართლეთა გადაყვანა, უფლებამოსილების შეჩერება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

ვენეციის კომისიის 2023 წლის მარტის მოსაზრების მეორე ძირითადი რეკომენდაცია იყო მოსამართლეთა თანხმობის გარეშე მათი მივლინებისა და გადაყვანის საკითხებში საბჭოს უფლებამოსილებების შემცირება. კომისიის მიხედვით, კანონით განსაზღვრულიყო დამატებითი კრიტერიუმები მოსამართლეთა გადაყვანისთვის, როგორებიცაა დროისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე კანონისმიერი შეზღუდვები.

---

[11] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა, პარ. 18.
[12] კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" 2021 წლის 21 ივნისის განცხადება, სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა, ხელმისაწვდომია:: https://bitly.ws/WWf3
[13] ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის დასკვნა, პარ. 23.
[14] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა, პარ. 24.

2023 წლის ივნისის ცვლილებებით, მოსამართლეთა გადაყვანის საფუძვლები მხოლოდ ლინგვისტურად დაზუსტდა: "როდესაც ეს გამოწვეულია რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ნაკლებობით ან/და განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდით".[15] მეტიც, დამატებით კრიტერიუმად განისაზღვრა "მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესთან დაკავშირებული სხვა ობიექტური გარემოება".[16] კომისიის აზრით, ეს უკანასკნელი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და აკლია სიცხადე.[17]

პოზიტიურად შეფასდა ის, რომ კანონმა შემოიღო მოსამართლის ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოზე სამივლინებო დანამატი, თუმცა კომისიის აზრით, ეს სათანადოდ ვერ პასუხობს მის რეკომენდაციებს. კომისია იმეორებს, რომ კანონი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კვლავ აძლევს ძალიან ფართო უფლებამოსილებებს მოსამართლეების მივლინება/გადაყვანის საკითხებში, რაც, განსაკუთრებით საქართველოში არსებული კონტექსტისა და მართლმსაჯულების წინაშე მდგარი სისტემური გამოწვევების პირობებში, ქმნის მოსამართლეების საქმიანობაზე საბჭოს მიერ გავლენის მოხდენის რისკებს.[18] რაც შეეხება 2023 წლის სექტემბრის ცვლილებებს, იგი ამცირებს მხოლოდ მივლინების პირველად პერიოდს ორი წლიდან ერთ წლამდე. კომისიის აზრით, ეს ცვლილება არსებითად არ პასუხობს იმ რეკომენდაციას, რომლის სულისკვეთებაც იყო საბჭოს უფლებამოსილების შემცირება ინდივიდუალურ მოსამართლეებზე გავლენის მოხდენის დასაზღვევად.[19]

მესამე რეკომენდაცია, რომელიც გაიცა კომისიის 2023 წლის მარტის დასკვნით ეხებოდა მოსამართლეების საქმიდან ჩამოცილების საფუძვლებს. კომისიის მოთხოვნა იყო, ჩამოცილების საფუძვლების დაზუსტება და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გახანგრძლივება. კომისია ამ კონტექსტში პოზიტიურად აფასებს ორგანული კანონის 45-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებებს, რომელიც ჩამოცილების საფუძვლად მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას განსაზღვრავს, ხოლო გასაჩივრების ვადას ახანგრძლივებს 10 დღემდე.[20]

რაც შეეხება მოსამართლეების დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოსამართლის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გამო, კომისიის 2023 წლის მარტის მოსაზრების რეკომენდაცია იყო, ლიმიტირდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, რომლებიც შეეხება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მოვალეობის აშკარა დარღვევას მოსამართლის მიერ აზრის გამოხატვის დროს, ხოლო მოსამართლეებს უნდა დარჩეთ სივრცე გამოხატვის თავისუფლებისთვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლო სისტემის რეფორმები. კომისიის აზრით, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ

---

[15] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტი.
[16] იქვე.
[17] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა, პარ. 26.
[18] იქვე, პარ. 27.
[19] იქვე, პარ. 28.
[20] იქვე, პარ 29-30.

შესრულდა. 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით "პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა" დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად დარჩა, თუმცა დაზუსტდა, რომ ეს არ ეხება " სასამართლო რეფორმის შესახებ ან /და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების თაობაზე მოსამართლის მეცნიერულ ან ანალიტიკურ მსჯელობას".[21]

2023 წლის სექტემბრის ცვლილებებმა კი განსაზღვრა, რომ სახეზე უნდა იყოს მხოლოდ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის "აშკარა" დარღვევა. კომისია დადებითად აფასებს ამ ცვლილებას. თუმცა დამატებით აღნიშნავს, რომ ეს საკანონმდებლო ჩანაწერი, როგორც მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების დაცვის უმაღლეს სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობაში.[22]

9. უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირს უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. ვენეციის კომისიამ 2023 წლის 14 მარტის დასკვნაში ხაზი გაუსვა[23], რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახალი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეიბოჭოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 34³ მუხლი აღწერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების შედეგებს,[24] განხორციელებული ცვლილებით, აგრეთვე გაიწერა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გასაჩივრების უფლება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის/კანდიდატების შერჩევის ყოველ შესაბამის ეტაპზე მოქმედებს მანამ, სანამ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა არ მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების უცვლელად დატოვების თაობაზე.[25] ვენეციის კომისია 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნაში ხაზს უსვამს, რომ ეს დებულება ნამდვილად აძლიერებს პრინციპს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაიცვას უზენაესი სასამართლოს

---

[21] იქვე, პარ. 32.
[22] იქვე, პარ. 33.
[23] ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ.37
[24]"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 34³ , პუნქტი 12 და 13.
[25] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 34³, პუნქტი 13

გადაწყვეტილებები და მითითებები, თუმცა ეს არ არის საკმარისი. 2023 წლის სექტემბრის ცვლილებების ახალი დებულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი წარდგინების მიღებისას საბჭოს წევრები ითვალისწინებენ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებას.[26] კომისიის შეფასებით, ეს დანაწესი "სუსტია", რადგან „გათვალისწინება" არ ნიშნავს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულოობას.

10. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კვალიფიკაცია

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით, კომისია აცხადებს, რომ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც კანდიდატის ასაკობრივი ზღვრისა და სამუშაო გამოცდილების გაზრდას შეეხებოდა, არ იყო გათვალისწინებული 2023 წლის ივნისის ცვლილებებით. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ ასაკთან და გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, სხვა მოსამართლეებთან შედარებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის უფრო მკაცრი უნდა იყოს.[27] დადებითი ცვლილებაა 2023 წლის სექტემბრის კანონპროექტში 5-ის ნაცვლად 10-წლიანი გამოცდილების მოთხოვნის დაყენება, თუმცა კანდიდატის ასაკობრივი ზღვარი ისევ დაბალ დონეზე რჩება და 30 წელს წარმოადგენს.[28]

11. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების დასახელება

დასკვნის მიხედვით, ისევ ძალაშია რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენის პროცესის ჩიხში შესვლის პრევენციის (anti-deadlock) მექანიზმის შემოღების თაობაზე, როცა კანდიდატი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერას ვერ იღებს. კომისია აღნიშნავს, რომ საერთო სასამრთლოების შესახებ კანონის 34[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტი არ ითვალისწინებს ჩიხში შესვლის პრევენციის სათანადო მექანიზმს და 1 თვის ვადაში შესაბამისი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ხელახლა დაწყება ვერ უზრუნველყოფს საბჭოს ამ ჩიხიდან გამოყვანას.

---

[26] . „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", მუხლი 1, პუნქტი 2.13

[27] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 37.

[28] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 37.

12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა აცილება

ვენეციის კომისიამ 2023 წლის 14 მარტის დასკვნით დადებითად შეაფასა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეობის კანდიდატების წარდგინების მისაღებად გამართულ არცერთ კენჭისყრაში არ მიიღებს მონაწილეობას, თუ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებით საბჭოს ამ წევრის მიერ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ჩადენა დადგინდება[29]. აქამდე არსებული რეგულირებით სავალდებულო იყო საბჭოს იმ წევრთა აცილება, რომლებმაც გამოიჩინეს მიკერძოება ან/და დისკრიმინაციული მიდგომა კანდიდატის შერჩევისას, ან გადააჭარბეს თავიანთ კანონიერ უფლებამოსილებებს, რამაც გამოიწვია კანდიდატის უფლებების დარღვევა ან საფრთხე შეუქმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას. 2023 წლის მარტის დასკვნაში, ვენეციის კომისიამ მართებულად აღნიშნა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული კრიტერიუმის შესაბამისობა და გამოყენებადობა გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის.

2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნით, ვენეციის კომისიამ ზემოთხსენებული რეკომენდაცია შესრულებულად ჩათვალა, რადგან ჩანაწერი "საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას" ცვლილებებით ამოღებულ იქნა.[30]

13. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა

კომისიის შეხედულებით, ისევ რელევანტურია რეკომენდაცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 10 წლიანი ვადით არჩევის წესის ცვლილების თაობაზე - კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ვადის შემცირებას.[31] ვენეციის კომისია მარტში გამოქვეყნებულ დასკვნაში მიუთითებდა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ხანგრძლივ ვადას შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე და სასამართლოში ერთი ადამიანის დომინირება გამოეწვია და აქედან გამომდინარე გასცა ამ ვადის შემცირების რეკომენდაცია.[32]

14. მოსამართლეობის კანდიდატების ხელახალი კენჭისყრა

მოსამართლეობის კანდიდატის ხელახალი კენჭისყრის წესთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ კომისიის რეკომენდაცია კანონში განიმარტოს რომ კანდიდატი ამ შემთხვევაშიც უნდა

---

[29] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 34³.13

[30] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. F.3.

[31] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 41.

[32] ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ.39.

აკმაყოფილებდეს კონკრეტული ვაკანსიის ყველა მოთხოვნას (მაგ., სპეციალიზაციის მოთხოვნებს) ისევ არ არის შესრულებული. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩაიწერა რომ მოსამართლეობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე განსამწესებლად საჭირო 34-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა ეს მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა. კომისიის შეფასებით, კანონში არ არის მითითება იმისა თაობაზე, რომ მოსამართლის კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემოთავაზებული ვაკანსიისთვის საჭირო ყველა კონკრეტული მოთხოვნა, მათ შორის სპეციალობასთან დაკავშირებული.

15. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება

დასკვნის თანახმად, შესრულდა ვენეციის კომისიის 2023 წლის 14 მარტის შეფასებით გაცემული რეკომენდაცია და განისაზღვრა კონკრეტული დრო, როდესაც დისციპლინური სამართალწარმოება უნდა ჩაითვალოს დაწყებულად. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოსამართლისთვის აღარ იქნება ბუნდოვანი თუ როდის შეუძლია მას ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა. წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეაფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა.[33]

16. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

2023 წლის 14 მარტის დასკვნაში ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს ეპოვა პრაქტიკული გადაწყვეტა, რომლიც დაამყარებდა ბალანსს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასა და კონფიდენციალურობის, აგრეთვე, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებს შორის.

2023 წლის ივნისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტი შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება.[34] ხოლო 2023 წლის სექტემბრის კანონპროექტით, საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება და გამოქვეყნებას ექვემდებარება არა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, არამედ გადაწყვეტილებები თუ სხვა სასამართლო აქტები მათი მიღების

[33] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 75[8], პუნქტი 1
[34] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13, პუნქტი 1[1]

მომენტიდან. ვენეციის კომისიის მითითებით, ეს ცვლილება შეესაბამება კომისიის რეკომენდაციას სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პროცესის გამარტივების მიზნებისთვის. კომისიის შეფასებით, მიუხედავად ამ ჩანაწერების დადებითი ხასიათისა, ჯერ კიდევ გასარკვევია, მოხსნის თუ არა ეს გაუმჯობესებები პრაქტიკულ დაბრკოლებებს და უზრუნველყოფს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას პრაქტიკულ დონეზე.[35]

დასკვნა

ვენეციის კომისიამ 2023 წლის მარტში მიღებული დასკვნით განსაზღვრა ხუთი ძირითადი რეკომენდაცია მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ამ ხუთი რეკომენდაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც კომისია აღნიშნავს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრულფასოვანი რეფორმა, როგორც ამას ითხოვს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული ამოცანა. კომისიის აზრით, მმართველი პარტიის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი მხოლოდ ტექნიკურ ცვლილებებს მოიცავს და ვერ პასუხობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს "სრულფასოვანი რეფორმის" მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს სისტემურ მიდგომას ინკლუზიური და ყოვლისმომცველი პროცესის საფუძველზე. ამგვარი რეფორმის არ არსებობის პირობებში, მართლმსაჯულების სისტემის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევა - არაფორმალური გავლენები და ე.წ "კლანური მმართველობა" კვლავ გადაუჭრელი რჩება.

რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, კვლავ გადაუჭრელი რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო უფლებამოსილებები მოსამართლეთა გადაყვანის/მივლინების საკითხში. ხოლო ის მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილების საფუძვლების დაზუსტებას, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიების საკანონმდებლო განმტკიცებასა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალას, არსებითად შესრულდა მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით.

გარდა ამ ძირითადი რეკომენდაციებისა, 2023 წლის ივნისისა და სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, დამატებით, გადაუჭრელი დარჩა: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის უფრო მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება როგორც ასაკობრივ, ასევე გამოცდილების ნაწილში; ანტი-ჩიხური მექანიზმის შემოღება იმ შემთხვევებისთვის, თუ შემოკლებულ სიაში შეყვანილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები ვერ მიიღებენ 2/3-ის უმრავლესობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში; მოსამართლეთა ხელახალი კენჭისყრისთვის დამატებითი მოთხოვნების (მაგ. სპეციალიზაციის) დაწესება და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარი უფლებამოსილების

[35] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 45-46

ვადის შემცირება. ხოლო რაც შეეხება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას; საბჭოს იმ წევრების გამორიცხვას, რომლებიც მიკერძოებულები იყვნენ ან სხვაგვარად არღვევდნენ კანდიდატები უფლებებს და დისციპლინური პროცედურების ინიცირების მომენტის განსაზღვრას, საკანონმდებლო ცვლილებები არსებითად პასუხობს კომისიის მოთხოვნებს.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების ნაწილს ვენეციის კომისია შესრულებულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნევს, მისი მოსაზრებით, ცვლილებების დიდი ნაწილი ატარებს ტექნიკურ ხასიათს და არსებითად ვერ პასუხობს მართლმსაჯულების წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევას არაფორმალური გავლენების თვალსაზრისით. საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და სასამართლო სისტემის საფუძვლიანი რეფორმა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და მისი მიმართ საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველსაყოფად, ისე, როგორც ამას ევროკავშირის მე-3 რეკომენდაცია მოითხოვს, კვლავ განუხორციელებელი რჩება.